

შპს სამშენებლო კომპანია - მშენებელი 2011

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

ქ თბილისი 2019 წელი

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
ფულის მოძრაობის ანგარიშგება
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
განმარტებითი შენიშვნები

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სამშენებლო კომპანია-მშენებელი 2011“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მცირე და საშუალო საწარმოთათვის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- დასკვნების გაკეთებაზე და შეფასებებზე, რომელიც არის გონივრული და საიმედო;
- ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, სრულდება თუ არა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები რომლებიც ექვემდებარება ფინანსურ ანგარიშგებაში მითითებულ ახსნის და განმარტებულ არსებით გადახვევებს; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე, კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნარის შეფასებაზე უახლოეს მომავალში.


ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- და თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2019 წლის 30 მარტს.

ხელმძღვანელობის სახელით:




მთავარი ბუღალტერი
გიგლა აბესაძე



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სამშენებლო კომპანია-მშენებელი 2011“-ის მფლობელებს და ხელმძღვანელობას.

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სამშენებლო კომპანია - მშენებელი-2011-ის თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგებისა, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისაგან. ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისაგან.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“-ს ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „სამშენებლო კომპანია - მშენებელი-2011-ის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

მარაგები

გამომდინარე იქედან, რომ ჩვენ კომპანიის აუდიტორებად არ დაგვნიშნეს 2018 წლის 31 დეკემბრამდე, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით 2018 წლის ბოლოს ჩატარებულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას. ჩვენ აღტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარისხობრივ და რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია შესაბამისად 1,029 946 ლარის ღირებულებით. ყოველივე ზემო აღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აგრეთვე მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სასაქონლო მატერიალურ ფასეულობების 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული დღით არსებულ ნაშთზე მოდიფიცირებულია.

სხვა მოთხოვნები

2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსში გრძელვადიანი მოთხოვნების მუხლში ასახულია, შესაბამისად 243 705 და 173 705 ლარის მოთხოვნა თანამშრომლის მიმართ, რომელიც წარმოშობილია ფულადი სახსრების მითვისებიდან და მომდინარეობს 2016 წლიდან, მიღწეულია საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმად აღნიშნული თანხიდან მთელი ამ ხნის განმავლობაში დაიფარა მხოლოდ 70000 ლარი, ხოლო დანარჩენი რჩება მოთხოვნად. აღნიშნული გარემოებიდან იკვეთება რომ დავალიანების თანხის ამოღების და აქტივთან დაკავშირებული სარგებლის მიღების ალბათობა დაბალია, შესაბამისად, არ არსებობს რწმუნება იმისა, რომ მოხდება დებიტორული დავალიანების დაფარვა.

გამომდინარე აქედან, 173705 ლარი ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობები ამ სტანდარტის შესაბამისად აღწერილია აუდიტორთა პასუხისმგებლობების აზრაცში. ჩვენ შევასრულეთ ეთიკის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი ეთიკის მოთხოვნები და ვართ დამოუკიდებელი კომპანიისგან. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სამშენებლო კომპანია-შენებელი 2011“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მცირე და საშუალო საწარმოთათვის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;

- დასკვნების გაკეთებაზე და შეფასებებზე, რომელიც არის გონივრული და საიმედო;
- ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, სრულდება თუ არა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები რომლებიც ექვემდებარება ფინანსურ ანგარიშგებაში მითითებულ ახსნილ და განმარტებულ არსებით გადახვევებს; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე, კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნარის შეფასებაზე უახლოეს მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;

- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;

- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- და თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

აუდიტს ვატარებთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება მასზე, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა;
- ვეცნობით საწარმოს კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება საწარმოს შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას;
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში საწარმოს მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის

ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ საწარმოს ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე;

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ

შპს „სამშენებლო კომპანია - მშენებელი-2011“ მიერ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ხდება პირველად, წინა პერიოდებში ფინანსური ანგარიშგება არ ყოფილა ჩატარებული.

მზია რობაქიძე

შპს „პროფესიონალის“ სახელით
თბილისი, საქართველო
15 აგვისტო 2019 წელი



შპს სამშენებლო კომპანია მშენებელი-2011
სრული შემოსავლის ანგარიშგება
(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
ამონაგები		6,105,003	3,829,082
სამშენებლო კონტრაქტებიდან		4,427,782	3,822,177
მასალების მიწოდებიდან		1,674,222	2,592
საიჯარო მომსახურებიდან			4,314
უსასყიდლოდ მიღებული მარაგები		3000	
თვითღირებულება:		(4,904,669)	(3,221,376)
სამშენებლო კონტრაქტების დანახარჯი		(3,256,659)	(3,218,864)
მასალების თვითღირებულება		(1,648,010)	(2,512)
საერთო მოგება/ზარალი		1,200,334	607,706
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(1,173,152)	(1,118,475)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		27,182	(510,769)
სხვა სრული შემოსავალი და ხარჯი		142,315	42,818
ძირითადი საშუალების გაყიდვა			2,839
საპროცენტო შემოსავლები		173,898	48,493
საპროცენტო ხარჯი			(8,401)
მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	-	(7,251)	(113)
გაუფასურების ხარჯი ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან		(24,332)	
მოგება / ზარალი დაბეგვრამდე		169,497	(467,951)
მოგების გადასახადი			
სრული მოგება/ზარალი			

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 15 აგვისტოს

დირექტორი გია გოგიაშვილი
მთავარი ბუღალტერი გიგლა აბესაძე

შპს სამშენებლო კომპანია მშენებელი-2011
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017	31.12.2016
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები		11,113,601	8,842,768	1,949,586
სავაჭრო მოთხოვნები		1,114,802	604,734	475,608
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		1,001,574	51,013	109,332
წინასწარ გადახდილი ხელფასი			7032.86	147,394
მარაგები		1,029,946	1,697,691	2,007,443
დაუმთავრებელი წარმოება		8,914,147	1,295,136	349,790
წინსწრებით გადახდილი გადასახადები		5,506,584	1,007,358	
ძირითადი საშუალებები		532,516	649,757	814,277
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნა		173,859	243,705	243,705
სულ აქტივები		29,387,029	14,399,196	6,097,135
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		72,738	53,415	108,705
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ (სახელფასო)		56,634		
საგადასახადო ვალდებულება				157,208
ვალდებულება თანამშრომლის წინაშე		1,161	1,320	181
სხვა ვალდებულებები		41,265	3,177,580	3,793,610
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული გრანტები		135,564	146,197	156,829
სულ ვალდებულებები		307,363	3,378,511	4,216,532
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი		28,855,857	10,966,373	1,358,341
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		223,809	54,312	522,262
სულ საკუთარი კაპიტალი		29,079,666	11,020,685	1,880,603
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		29,387,029	14,399,196	6,097,135

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის

დირექტორი გია გორგიაშვილი
მთავარი ბუღალტერი გიგლა აბესაძე

შპს სამშენებლო კომპანია მშენებელი-2011

ფულის მოძრაობის ანგარიშგება

(ლარი)

2017

2018

საოპერაციო საქმიანობა		
სახელმწიფო პროექტებიდან მიღებული ფული	1956874.12	208192.06
კერძო პროექტებიდან მიღებული ფული	618,315	1109965
სულ საოპერაციო შემოსულობა	2,575,189	1,318,157
პირდაპირი მომწოდებლებისათვის გადახდილი ფ/ს	(2,144,382)	(8,034,570)
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის გადახდები		
უცხოელი პირდაპირი მომწოდებლებისათვის გადახდილი ფ/ს		(3,763,012)
სხვა მომწოდებლებზე გადახდები	(489,005)	
თანამშრომლებისათვის გადახდილი ფ/ს	(1,897,299)	(2,359,199)
თანამშრომლებისათვის მივლინებებზე გადახდები	(1,093)	
გადახდილი გადასახადები	(1,972,472)	(4,976,801)
საბაჟოზე გადახდილი		(162,194)
გეზი და სხვა		(13,892)
ბანკის საკომისიო და სხვა საგარანტიო თანხები	(12,518)	(14,684)
სულ საოპერაციო გასავალი	(6,516,769)	(19,324,353)
სულ ფ/ნ საოპერაციო საქმიანობიდან	(3,941,580)	(18,006,196)

საინვესტიციო საქმიანობა		
მ/საშუალებების შეძენა		(46,209)
დელტას მიერ დაფინანსებული კაპიტალი	10,838,239	20,112,875
დელტას მიერ ამოღებული კაპიტალი	(14,093)	(5,398)
სულ ფ/ნ საინვესტიციო საქმიანობიდან	10,824,146	20,061,268

საფინანსო საქმიანობა		
საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან	48,393	173,898
მიღებული სესხი	420,670	
გადახდილი სესხები	(420,670)	
გადახდილი პროცენტები	(8,401)	
ფინანსური ჯარიმა-საურავი	(29,195)	(18,411)
თანამშრომლის მიერ უკანონოდ მითვისებულის დაბრუნება		70,000
საკურსო სხვაობა		(9,725)
სულ ფ/ნ საფინანსო საქმიანობიდან	10,797	215,762
სულ წმინდა ფ/ნაკადები	6,893,363	2,270,834
საწყისი ფ/ნ	1,949,405	8,842,768
საბოლოო ფ/ნ	8,842,768	11,113,602
ფ/ნ ზრდა/შემცირება	6,893,363	2,270,834

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 15 აგვისტოს

დირექტორი
მთავარი ბუღალტერი

გია გორგიაშვილი
გიგლა აბესაძე

შპს სამშენებლო კომპანია მშენებელი-2011
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება/ზარა	სულ საკუთარი კაპიტალი
<u>ნაშთი 2017 წლის 1 იანვრისათვის</u>	<u>1,358,341</u>	<u>522,262</u>	<u>1,880,603</u>
კაპიტალის ცვლილება	9,608,032		9,608,032
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი		(467,951)	(467,951)
<u>ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისათვის</u>	<u>10,966,373</u>	<u>54,312</u>	<u>11,020,684</u>
კაპიტალის ცვლილება	17,889,484		17,889,484
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი		169,497	169,497
<u>ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისათვის</u>	<u>28,855,857</u>	<u>223,809</u>	<u>29,079,666</u>

მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 15 აგვისტოს

დირექტორი
მთავარი ბუღალტერი

გია გორგიაშვილი
გიგლა აბესაძე

შპს სამშენებლო კომპანია მშენებელი-2011
სრული შემოსავლის ანგარიშგება
(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
ამონაგები		6,105,003	3,829,082
სამშენებლო კონტრაქტებიდან		4,427,782	3,822,177
მასალების მიწოდებიდან		1,674,222	2,592
საიჯარო მომსახურებიდან			4,314
უსასყიდლოდ მიღებული მარაგები		3000	
თვითღირებულება:		(4,904,669)	(3,221,376)
სამშენებლო კონტრაქტების დანახარჯი		(3,256,659)	(3,218,864)
მასალების თვითღირებულება		(1,648,010)	(2,512)
საერთო მოგება/ზარალი		1,200,334	607,706
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(1,173,152)	(1,118,475)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		27,182	(510,769)
სხვა სრული შემოსავალი და ხარჯი		142,315	42,818
ძირითადი საშუალების გაყიდვა			2,839
საპროცენტო შემოსავლები		173,898	48,493
საპროცენტო ხარჯი			(8,401)
მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	-	(7,251)	(113)
გაუფასურების ხარჯი ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან		(24,332)	
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		169,497	(467,951)
მოგების გადასახადი			
სრული მოგება/ზარალი			

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 15 აგვისტოს



დირექტორი
მთავარი ბუღალტერი

გია გორგიაშვილი
გიგლა აბესაძე

Handwritten signature of G. Gorgiasvili

შპს სამშენებლო კომპანია მშენებელი-2011
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ლარი)

	დღის შედეგად	31.12.2018	31.12.2017	31.12.2016
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები		11,113,601	8,842,768	1,949,586
სავაჭრო მოთხოვნები		1,114,802	604,734	475,608
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		1,001,574	51,013	109,332
წინასწარ გადახდილი ხელფასი			7032.86	147,394
მარაგები		1,029,946	1,697,691	2,007,443
დაუმთავრებელი წარმოება		8,914,147	1,295,136	349,790
წინსწრებით გადახდილი გადასახადები		5,506,584	1,007,358	
ძირითადი საშუალებები		532,516	649,757	814,277
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნა		173,858	243,705	243,705
სულ აქტივები		29,387,028	14,399,196	6,097,135
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		72,738	53,415	108,705
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ (სახელფასო)		56,634		
საგადასახადო ვალდებულება				157,208
ვალდებულება თანამშრომლის წინაშე		1,161	1,320	181
სხვა ვალდებულებები		41,265	3,177,580	3,793,610
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული გრანტები		135,564	146,197	156,829
სულ ვალდებულებები		307,363	3,378,511	4,216,532
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი		28,855,857	10,966,373	1,358,341
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		223,809	54,312	522,262
სულ საკუთარი კაპიტალი		29,079,666	11,020,685	1,880,603
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		29,387,029	14,399,196	6,097,135

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



შპს სამშენებლო კომპანია მშენებელი-2011

ფულის მოძრაობის ანგარიშგება

(ლარი)

2017

2018

საოპერაციო საქმიანობა		
სახელმწიფო პროექტებიდან მიღებული ფული	1956874.12	208192.06
კერძო პროექტებიდან მიღებული ფული	618,315	1109965
სულ საოპერაციო შემოსულობა	2,575,189	1,318,157
პირდაპირი მომწოდებლებისათვის გადახდილი ფ/ს	(2,144,382)	(8,034,570)
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის გადახდები		
უცხოელი პირდაპირი მომწოდებლებისათვის გადახდილი ფ/ს		(3,763,012)
სხვა მომწოდებლებზე გადახდები	(489,005)	
თანამშრომლებისათვის გადახდილი ფ/ს	(1,897,299)	(2,359,199)
თანამშრომლებისათვის მივლინებებზე გადახდები	(1,093)	
გადახდილი გადასახადები	(1,972,472)	(4,976,801)
საბაჟოზე გადახდილი		(162,194)
გეზი და სხვა		(13,892)
ბანკის საკომისიო და სხვა საგარანტიო თანხები	(12,518)	(14,684)
სულ საოპერაციო გასავალი	(6,516,769)	(19,324,353)
სულ ფ/ნ საოპერაციო საქმიანობიდან	(3,941,580)	(18,006,196)

საინვესტიციო საქმიანობა		
ძ/საშუალებების შეძენა		(46,209)
დელტას მიერ დაფინანსებული კაპიტალი	10,838,239	20,112,875
დელტას მიერ ამოღებული კაპიტალი	(14,093)	(5,398)
სულ ფ/ნ საინვესტიციო საქმიანობიდან	10,824,146	20,061,268

საფინანსო საქმიანობა		
საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან	48,393	173,898
მიღებული სესხი	420,670	
გადახდილი სესხები	(420,670)	
გადახდილი პროცენტები	(8,401)	
ფინანსური ჯარიმა-საურავი	(29,195)	(18,411)
თანამშრომლის მიერ უკანონოდ მითვისებულის დაბრუნება		70,000
საკურსო სხვაობა		(9,725)
სულ ფ/ნ საფინანსო საქმიანობიდან	10,797	215,762
სულ წმინდა ფ/ნაკადები	6,893,363	2,270,834
საწყისი ფ/ნ	1,949,405	8,842,768
საბოლოო ფ/ნ	8,842,768	11,113,602
ფ/ნ ზრდა/შემცირება	6,893,363	2,270,834

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 15 აგვისტოს

დირექტორი
მთავარი ბუღალტერი

გია გორგიაშვილი
გიგლა აბესაძე



Handwritten signature of Giorgi Gorgiasvili

შპს სამშენებლო კომპანია მშენებელი-2011
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება/ზარა ლი	სულ საკუთარი კაპიტალი
<u>ნაშთი 2017 წლის 1 იანვრისათვის</u>	<u>1,358,341</u>	<u>522,262</u>	<u>1,880,603</u>
კაპიტალის ცვლილება	9,608,032		<u>9,608,032</u>
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი		(467,951)	<u>(467,951)</u>
<u>ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისათვის</u>	<u>10,966,373</u>	<u>54,312</u>	<u>11,020,685</u>
კაპიტალის ცვლილება	17,889,484		<u>17,889,484</u>
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი		169,497	<u>169,497</u>
<u>ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისათვის</u>	<u>28,855,857</u>	<u>223,809</u>	<u>29,079,666</u>

მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დირექტორი
მთავარი ბუღალტერი



გია გორგიაშვილი
გიგლა აბესაძე

შპს „სამშენებლო კომპანია - მშენებელი 2011“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სამშენებლო კომპანია - მშენებელი 2011“ წარმოადგენს სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ 100% წილობრივ კომპანიას, რომელიც დაფუძნდა 2011 წლის 9 აგვისტოს.

შპს „სამშენებლო კომპანია - მშენებელი 2011“ წესდების პირველი მუხლის 1.7. პუნქტი განსაზღვრავს საზოგადოების საქმიანობის საგანს: სამშენებლო საქმიანობა (მ.შ. ახალი მშენებლობა (მ.შ. მონტაჟი); რეკონსტრუქცია; რემონტი-შეკეთება, მოპირკეთება/აღჭურვა; დემონტაჟი; დროებითი შენობა-ნაგებობების მონტაჟი/განთავსება). თუმცა მეწარმეთა კანონის შესაბამისად, მას როგორც მეწარმე სუბიექტს, უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა მოგების მიღების მიზნით.

შპს „სამშენებლო კომპანია - მშენებელი 2011“ აქტიურად ახორციელებს მისი დამფუძნებლის, სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ მიერ დაკვეთებს. დაკვეთები მოიცავს სახელმწიფო დაწესებულებების სამშენებლო პროექტებს და მასალების შესყიდვა/მიწოდებას. კომპანია გარდა სსიპ დელტასი ასრულებს სხვა სახელმწიფო ობიექტების სამშენებლო პროექტებს და ასევე სამშენებლო მომსახურებას უწევს კერძო კომპანიებს.

მისი საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს სამშენებლო მომსახურება.

ბოლო ცვლილებით 2018 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობის უფლება აქვს დირექტორს გია გორგიაშვილს პნ 01010007067

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 15 აგვისტოს

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. მომზადების საფუძვლები

• **ანგარიშგების შესაბამისობა:**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს მსს-ს) შესაბამისად.

• **შეფასების საფუძველი:**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

• **საქმიანობის უწყვეტობა:**

ფინანსური ანგარიშგება მზადდება კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

2.2. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის, ხოლო არაფულადი მუხლების გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობა აისახება სხვა სრული შემოსავლებისანგარიშებაში.

წლის ბოლოს გადაფასება არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტოკურსით.

2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
დოლარი	ევრო
2,6766	3,0701

2.3 შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

შემოსავალი აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით. თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საეჭვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

2.4 სხვა შემოსავალი

ამონაგების გარდა სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

შემოსულობის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების დროს დანეტებული ფორმით იმ პერიოდის მოგება-ზარალში.

შემოსულობების წყაროა მიღებული დარიცხული პროცენტები საბანკო დეპოზიტებიდან

2.5 ხარჯები

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

2.6 შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან

თუ შესაძლებელი იქნება სამშენებლო კონტრაქტების შედეგის საიმედოდ შეფასება, სამშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებულ ამონაგებს და დანახარჯებს კომპანია აღიარებს ამონაგებისა და ხარჯების სახით, საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით. შესრულება განისაზღვრება და შემოსავალი აღიარდება როდესაც შესრულების ეტაპები შეთანხმდება კომპანიასა და დამკვეთს შორის.

კომპანიისთვის შედეგის საიმედოდ შეფასება ნიშნავს:

სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის საიმედოდ განსაზღვრას; მომავალი დანახარჯებისა და თანხების ამოღების შესაძლებლობების საიმედოდ განსაზღვრას.

როდესაც ხელშეკრულება ეხება რამდენიმე აქტივს, მაშინ თითოეული აქტივის მშენებლობა განიხილება, როგორც დამოუკიდებელი, ცალკე აღებული სამშენებლო ხელშეკრულება, თუ:

(ა) თითოეული აქტივის მშენებლობისთვის ცალ-ცალკე იყო წარმოდგენილი პროექტები;

(ბ) შესაძლებელია თითოეული აქტივის ცალკე ჩაბარება დამკვეთისათვის; და

გ) შესაძლებელია, თითოეული აქტივისათვის ცალკე განისაზღვროს დანახარჯები და ამონაგები. თუ მოსალოდნელია, რომ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯები გადააჭარბებს მთლიან სახელშეკრულებო ამონაგებს, მოსალოდნელი ზარალის თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით და, ამავე დროს, იქმნება შესაბამისი ანარიცხი წამგებიან ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

თუ მოსალოდნელი აღარ არის იმ თანხის ამოღება, რომელიც კომპანიას უკვე აღიარებული აქვს როგორც სახელშეკრულებო ამონაგები, კომპანია ამგვარ თანხას აღიარებს მიმდინარე პერიოდის ხარჯად და არა როგორც საკონტრაქტო ამონაგების კორექტირება. იმ შემთხვევაში როდესაც შედეგის შეფასება საიმედოდ არ არის შესაძლებელი, კონტრაქტიდან შემოსავალი აღიარდება იმ გაწეული ხარჯების ტოლი რაოდენობით, რომელიც გაიწია მოცემულ პერიოდში და რომლის ამოღებაც მოსალოდნელია მომავალში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ასეთი კონტრაქტები (კონვერსირებული დანახარჯებით) ფინანსურ ანგარიშგებაში აისახევა ცალკე მუხლად დაუმთავრებელ წარმოების სახით.

2.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით. ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით.

ფულადი სახსრები შედგება მხოლოდ ბანკებში არსებული როგორც შეუზღუდავი მიმდინარე ანგარიშებისაგან ასევე საბანკო დეპოზიტებისაგან-ლარში რომელსაც ერიცხება პროცენტი.

მოთხოვნები წარმოიშობა საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის დროს, ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით. ყოველი სამეუნეო წლის ბოლოს საწარმო ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულების შეფასებას, რათა განსაზღვროს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულების არსებობა.

დებიტორული დავალიანების შეფასება ხდება თითოეული დებიტორის მიმართ ინდივიდუალური მიდგომით. დებიტორული დავალიანება, რომელთა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გასულია და სხვა ვალები, რომელთა ამოღება არარეალურია, ჩამოიწერება და მიეკუთვნება ფინანსურ შედეგებს.

მოთხოვნებს ასევე მიეკუთვნება, მომწოდებლისათვის წინასწარ გადახდილი თანხები. ასეთი თანხები მოთხოვნად რჩება მანამ, სანამ არ იქნება მოწოდებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები და გაწეული მომსახურება.

ფინანსური ვალდებულებები.

ვალდებულებები აღიარდება იმ თანხით, რომლის გადახდაც მოუწევს კომპანიას. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

კრედიტორული დავალიანების ჩამოწერით მიღებული შემოსავლები მიიმართება ფინანსურ შედეგებზე სესხები ბალანსში აისახება წლის ბოლოსათვის გადასახდელი პროცენტის გათვალისწინებით. სესხის სარგებლობის დანახარჯები მიეკუთვნება პერიოდის მოგება ზარალს

მიღებული და გაცემული ავანსები

თუ მიღებული ავანსი პირობითია და დაბრუნებას ექვემდებარება, იგი ფულადი მუხლია და განიხილება როგორც ფინანსური აქტივი. თუ არის უპირობოდ მიღებული ავანსი, მაშინ კლასიფიცირდება როგორც

არაფულადი მუხლი და გადაფასებას არ ექვემდებარება

თუ გაცემული ავანსი პირობითია და დაბრუნებას ექვემდებარება, იგი ფულადი მუხლია და განიხილება როგორც ფინანსური აქტივი. თუ არის უპირობოდ გაცემული ავანსი, მაშინ კლასიფიცირდება როგორც არაფულადი მუხლი და გადაფასებას არ ექვემდებარება.

2.8. მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

2.9 ძირითადი საშუალებები

აღიარება თავდაპირველად ხდება *პირვანდელი ისტორიული ღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.*

ძირითად საშუალებებზე გაწეული შეძენის შემდგომი დანახარჯები, რომლებიც ზრდიან ძირითადი საშუალების ექსპლუატაციის ვადას ან მისგან მისაღებ ეკონომიკურ სარგებელს, კაპიტალიზირდება. ყველა სხვა ხარჯი კი აისახება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შედეგი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მათი წარმოშობისთანავე.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებებისთვის ჯგუფს განსაზღვრული აქვს შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

- *მანქანა-დანადგარები 5-10 წლამდე*
- *საოფისე ინვენტარი 3-8 წლამდე*
- *ავეჯი და სხვა 3-10 წლამდე*
- *ტრანსპორტი 5-10 წლამდე*

2.10. ხელფასების აღრიცხვა

ხელფასების, პრემიებისა და ბონუსების დარიცხვა ხდება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც თანამშრომლებმა გაუწიეს მომსახურება კომპანიას.

2.11 კაპიტალი

საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემადგენლობაში აღირიცხება საწესდებო კაპიტალი, რეზერვები, გაუნაწილებელი მოგება. კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. საწესდებო კაპიტალის გაზრდა და ამოღება ხორციელდება დამფუძნებლის (პარტნიორის) გადაწყვეტილების საფუძველზე:

გაუნაწილებელი (დაგროვილი) მოგება შედგება კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი წმინდა მოგებისაგან.

კომპანიის რეზერვები იქმნება დაგროვილი მოგებიდან, საქმიანობის წარსული გამოცდილების შედეგად. დივიდენდი აღიარდება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ შემთხვევაში, თუ მისი გაცემა გამოცხადებული იყო

მფლობელის მიერ კაპიტალის ამოღება აისახება კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალის ოდენობა წესდებით დადგენილი არ არის.

2.12 ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე

მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებადობას მომავალ პერიოდებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

3.1. ამონაგები

2017 და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ამონაგები	6,102,003	3,824,768
სხვა შემოსავლები	3,000	4,314
ამონაგებთან დაკავშირებული ხარჯები	(4,904,669)	(3,221,376)

საოპერაციო მოგება 1,200,334 607,707

ა) ამონაგები და ხარჯი მასალების მიწოდებიდან

2017 და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად

შემოსავალი მასალების მიწოდებიდან	1,674,222	2,592
მიწოდებული მასალის თვითღირებულება	(1,648,010)	(2,512)

საოპერაციო მოგება 26,212 80

ბ) ამონაგები და ხარჯები სამშენებლო კონტრაქტებიდან

კომპანიაში სამშენებლო კონტრაქტების შესრულებიდან აღიარებული ამონაგების სიდიდე მიიღება კლიენტთან (შემდგომში - „მხარეები“) შუალედური ან/და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც შესრულდა სამუშაო. წარმოებული სამუშაოების დანახარჯები აღირიცხება ცალკეული პროექტების მიხედვით. მხარეები მიღება-ჩაბარების აქტს აფორმებენ ყოველი შესრულებულ სამუშაოების მიხედვით, სადაც განსაზღვრულია შესრულებული სამუშაოს მიხედვით ასაღიარებელი შემოსავალი. შემოსავალს უპირისპირდება შესაბამისი პროექტის დანახარჯები. 2018 წლამ სახით მიღებულია 4 427 782 ლარის ამონაგები შესაბამისად მასზედ გაწეული ხარჯია 3 256 659 ლარი, ხოლო 2017 წლამ მიღებულია 3 822 177 ლარის ამონაგები შესაბამისად მასზედ გაწეული ხარჯია 3 218 864 ლარი.

2017 და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ამონაგები სამშენებლო კონტრაქტებიდან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
შემოსავლები სამშენებლო კონტრაქტებიდან	4,427,782	3,822,177
სამშენებლო კონტრაქტებზე გაწეული ხარჯი	(3,256,659)	(3,218,864)

დაუმთავრებელი ხელშეკრულებების შესრულების სტადია 2018 წელში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

24 267 505 ლარის სამშენებლო კონტრაქტებიდან შესრულდა 5 229 300 ლარის - შესრულების სტადია შეადგენს 22%-ს

12 706 280 ლარის მასალების შესყიდვა/მიწოდების კონტრაქტებიდან მიწოდებულია 1 966 498 ლარის - შესრულების სტადია შეადგენს 15%-ს

3.2. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

2017 და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
დასაქმებულთა ანაზღაურება	(836,073)	(777,452)
ცვეთა	(141,847)	(146,405)
ბანკის საკომისიო	(11,458)	(7,518)
სატელეფონო მომსახ ხარჯი	(458)	(1,443)
საწვავის ხარჯი	(37,684)	(51,986)
საკანცელარიო ხარჯი	(7,965)	(3,683)
კომუნალური და კომუნიკაციის	(3,367)	(1,561)
სამეურნეო	(343)	(79)
მივლინება	(4,051)	(3,329)
ა/მ რემონტი (საექსპლუატაციო ხარჯი)	(51,734)	(46,614)
ტრანსპორტირების ხარჯი	(1,568)	(3,949)
მცირეფ/ინვენტარის ხარჯი	(336)	(1,727)
სახ ბაჟი სასამარ/განსახილველ საქმეებზე	(3,237)	(5,000)
ექსპერტიზის ხარჯი	(2,217)	-
უიმედო ვალის ჩამოწერიდან ზარალი	(17,520)	-
საქველმოქმედო ხარჯი	(1,540)	(770)
დახმარება - სწავლის ქირა	(440)	-
კორპორატიული ხარჯი	(2,639)	-
სხვა საერთო ხარჯი	(24,742)	(20,187)
გამოსაყენებლად უვარგისი მასალების ჩამოწერის	(536)	(6,078)
ჯარიმა საურავები	(18,975)	(33,025)
სატენდერო მოსაკრებელი	-	(1714)
ქონების გადასახადის ხარჯი	(4,423)	(5,954)

სულ (1 173 152 (1 118 475)

3.3. სხვა სრული შემოსავალი და ხარჯი

	2018	2017
საპროცენტო შემოსულობა	173897.6	48493.02
საპროცენტო ხარჯი	-	-8401.15
საკურსო მოგება/ზარალი	-7251	-112,79
შემოსავალი ძირითადი საშუალების გასვლიდან	-	2838,98
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	-24331.66	-

კომპანიას ბანკში გახსნილი აქვს ანაბარის ანგარიში, მასზედ განთავსებული ფულადის სახსრებიდან იღებს საპროცენტო შემოსავალს 2018 წ. ამ სახით მიიღო 173897,60 ლარი ხოლო 2017 წ. 48493,02 ლარი

2016 წ. კომპანიამ გადახედა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტმა განიხილა მოსალოდნელი გამოყენება, სავარაუდო ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა . 2018 წ. კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები, გარდა სამშენებლო ინვენტარის ჯგუფში არსებული ძ/საშუალებებისა, მოახდინა 24332 ლარის ნარჩენი ღირებულების ძ/საშუალების ჩამოწერა

3.4. წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან

2017 და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ფულის და ფულის ექვივალენტების	(9,950)	0
სხვა ფინანსური ინსტრუმენტების	2699	-113
სულ	-7251	-113

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

3.5. ფული და ფულის ექვივალენტები

2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	2018	2017
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოური ვალუტაში	25,731	0
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	4,866,095	1525.67
ფული საბანკო სადეპოზიტო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	1,513	168.24
ფული საბანკო ანაბრებზე	6,210,084	8832981.12
ფული საბანკო საბარათე ანგარიშზე	10,178	8093.2
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	-

სულ 11,113,601 8,842,768

3.6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

1. ფინანსური მოთხოვნები

2018

2017

სავაჭრო მოთხოვნები	1,114,802	604,734
--------------------	-----------	---------

2. არაფინანსური მოთხოვნები

2,018

2,017

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1,001,574	51,014
წინასწარ გადახდილი ხელფასი		7,033
წინსწრებით გადახდილი გადასახადები	5,506,584	1,007,358
გრძელვადიანი მოთხოვნა თანამშრომლის მიმართ	173,705	243,705

სულ

6,681,863

1,309,110

სულ ჯამი

7 796 665

1,913,844

2018 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის სავაჭრო მოთხოვნა ჯამში შეადგენს 1114802 ლარს, აღნიშნული თანხიდან:

1. სასამართლო დავა მიმდინარეობს ორ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. (150581ლარი +288416 ლარი.) პირველი ინსტანციის სასამართლო დავა მოგებულია, ხელმძღვანელობის მოლოდინით კომპანია სასამართლო დავას მოიგებს შემდგომი ინსტანციის სასამართლოშიც, შესაბამისად ორივე თანხა აღიარებულია მოთხოვნად
2. შპს „სალვუს საქართველოს“-თან 2018 წ. დასაწყისში სავაჭრო მოთხოვნა შეადგენდა 106231 ლარს, 2018 წ. დეკემბერში ზოლო სასამართლო გადაწყვეტილებით მოხდა მხარეებს შორის მორიგება 88711 ლარის გადახდაზე და ხელი მოეწერა გადახდის გრაფიკს, რომელიც მთავრდება 2019 წელში. სხვაობა 17500 ლარი კომპანიამ ჩამოწერა უიმედო დებიტორულ დავალიანებად.
3. დანარჩენი 587094 ლარი წარმოადგენს მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნას

2018 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის არაფინანსური მოთხოვნები ჯამში შეადგეს 6681863 ლარს.

აღნიშნული თანხიდან:

1. მომწოდებლებზე გადახდილია ავანსის სახით 1001574 ლარი: მ.შ. აზიასერვისზე 825027 ლარი;
2. საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, კომპანია 2017 წლიდან ახდენს დამკვეთებიდან მიღებული საკონტრაქტო თანხებიდან წინსწრებით დღგ თანხის გადახდას ბიუჯეტში, იგივე მიდგომას ახორციელებს სსიპ დელტადან კაპიტალში განხორციელებულ შენატანებზე, რამეთუ ამ შენატანების სანაცვლოდ აწვდის საქონლს ან/და განხორციელებულ მშენებლობებს/სამშენებლო სამუშაოებს. ძირითადად ამ სახით წარმოებული ოპერაციებიდან ბიუჯეტში გადახდილი ავანსის თანხამ 5506584 ლარი შეადგინა;
3. თანამშრომლის მიმართ გააჩნია 173705 ლარის მოთხოვნა რომელიც წარმოშობილია 2016 წელს 243705 ლარის მითვისებით. აღნიშნულ თანხაზე კომპანიას გაფორმებული აქვს საპროცესო შეთანხმება. (განმარტება იხ დასკვნით ნაწილში)

3.7. მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები, (რომლებიც გამოიყენება საქმიანობის პროცესში) ასახვა ხდება შესაბამის ანგარიშზე მისი გამოყენების ფორმის მიხედვით. (ძირითადი სახეები: სამშენებლო ნედლეული მასალები, სხვა სამშენებლო ინვენტარი და მარაგები, გასაყიდად განკუთვნილი სასაქონლო მატერიალური მარაგი, საწვავი). სასაქონლო მატერიალური მარაგები, რომელთა ფასი მცირეა და მათი გამოყენება ხდება დროის უმცირეს მონაკვეთში (სამეურნეო და საკანცელარიო საქონელი) პირდაპირ აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშებში, ხარჯებში). გახარჯული მარაგები ანგარიშებიდან ჩამოიწერება მისი ხარჯვის შესაბამისად.

მარაგები 2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

2018 2017

სამშენებლო მასალები	1,029,946	1,697,691
---------------------	-----------	-----------

3.8. დაუმთავრებელი წარმოება (დაუმთავრებელი კონტრაქტები)

სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი დელტა (შემდგომში სსიპ დელტა) გადაწყვეტილებების (ბრძანებების) საფუძველზე, რეგულარულად ახდენს კომპანიის კაპიტალის გაზრდას ფულადი სახსრებით. კაპიტალში შეტანილი სახელმწიფო სახსრებით ხორციელდება სამშენებლო პროექტების და მასალების შესყიდვა/მიწოდება დაკვეთის შესაბამისად. სამშენებლო პროექტები წარმოადგენს სახელმწიფო დაწესებულებების ობიექტებს, რომელიც დასრულებამდე აღირიცხება კომპანიის მოკლევადიან აქტივებში - დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე, ხოლო დასრულების შემდგომ ობიექტის ჩაბარების მიხედვით, სსიპ დელტა ისევ ბრძანებების საფუძველზე ახდენს, შესრულებული მომსახურების ღირებულებით (ოდენობით) კომპანიის კაპიტალის შემცირებას.

კაპიტალში განხორციელებული შენატანები კომპანიისთვის წარმოადგენს შესასრულებელ ვალდებულებას, რომლის ჩაბარების ვადა კომპანიას განსაზღვრული არ აქვს, იქედან გამომდინარე რომ ამ ვადას დამკვეთი სსიპ დელტა არ განუსაზღვრავს.

პროექტები არის როგორც მოკლევადიანი ასევე გრძელვადიანი მისი ფაქტიური შესრულებიდან გამომდინარე.

კომპანია გარდა სსიპ დელტასი ასრულებს სხვა სახელმწიფო ობიექტების სამშენებლო პროექტებს და ასევე სამშენებლო მომსახურებას უწევს კერძო კომპანიებს

დაუმთავრებელი კონტრაქტების (პროექტების) შესრულების სტადია განისაზღვრება პროპორციულობის მეთოდით, რომელიც გულისხმობს მოცემული თარიღისათვის შესრულებული (მიწოდებული) სამუშაოების/მასალის ღირებულების შეფარდებას კონტრაქტების მთლიან ღირებულებასთან

ამ მეთოდით კომპანიას 2018 წლის საანგარიშო პერიოდში სულ გააჩნდა 36 973 785 ლარის შესასრულებელი საკონტრაქტო ვალდებულება, ამ თანხიდან სამშენებლო კონტრაქტები = 24 267 505 ლარს ხოლო მასალების შესყიდვა მიწოდება = 12 706 280 ლარს.

განახორციელა 7 200 364 (დღგ გარეშე 6 102 003) ლარის ღირებულების მიწოდება (შესრულება), ამ თანხიდან სამშენებლო კონტრაქტები = 5 229 301 ლარს ხოლო მასალების შესყიდვა/მიწოდება = 1 996 498 ლარს;

2018 წლის საანგარიშო პერიოდის ბოლოს რჩება მისაწოდებელი შესასრულებელი ვალდებულება 29 777 987 ლარის ამ თანხიდან სამშენებლო კონტრაქტები = 19 038 205 ლარს, ხოლო მასალების შესყიდვა/მიწოდება = 10 739 782 ლარს

29 777 987 ლარის ვალდებულებიდან სსიპ დელტას მიმართ არსებობს 28 855 858 ლარის შესასრულებელი ვალდებულება, რომელიც კაპიტალში განხორციელებული შენატანებისაგან შედგება. ამ თანხიდან სამშენებლო კონტრაქტები = 18 116 076 ლარს, ხოლო მასალების შესყიდვა/მიწოდება = 10 739 782 ლარს

აღნიშნული 29 777 987 ლარის ვალდებულების შესასრულებლად კომპანიას დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე ერიცხება აქტივები, რომელიც სამშენებლო პროექტებზე და მასალების შესყიდვა/მიწოდებაზე გაწეული დანახარჯებისგან შედგება სულ 8 914 147 ლარის. ამ თანხიდან სსიპ დელტას პროექტებზე გაწეული დანახარჯები შეადგენს 8 736 079 ლარს

დაუმთავრებელი წარმოების ანგარიში 2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დაუმთავრებელი წარმოება სამშენებლო კონტრაქტებზე	6 346 954	1 295 136
დაუმთავრებელი წარმოება მასალების შესყიდვა/მიწოდებაზე	2 567 193	-
სულ	8 914 147	1 295 136

3.9. ძირითადი საშუალებები

2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა-დანადგარები	სამშენებლო ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა-კომპ/ტექნ	საოფისე ავეჯი და სხვა ინვენტარი	უსასყდროებით სარგადმოცემული ძ/საშ	სულ
2017 წლის 01 იანვრის მდგომ	295912	153881	423660	34510	30058	288995	1227015
შემენა/კაპიტალიზაცია	466	400	4023	121	253		5263
გასვლა - რეალიზაცია			7627				7627
2018 წლის 01 იანვრის მდგომ	296378	154281	420056	34631	30311	288995	1224652
შემენა/კაპიტალიზაცია			51822	2330	9078		63230
გადატანა მასალებში - კვალიფიკაციის შეცვლა			3662				3662
ჩამოწერა			61499				61499
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომ	296378	154281	406717	36961	39389	288995	1222721

ცვეთა

2017 წლის 01 იანვრის მდგომ	97332	37515	124771	14406	12274	132166	418464
პერიოდის ცვეთა	30909	16674	91294	4045	3607	10633	157162
გასული ცვეთა			731				731
2018 წლის 01 იანვრის მდგომ	128241	54189	215335	18451	15881	142798	574895
პერიოდის ცვეთა	30909	16674	85637	4213	4414	10633	152479
ჩამოწერილის ცვეთა			37167				37167
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომ	159150	70862	263805	22664	20295	153431	690208
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2019 წლის 01 იანვრის მდგომ	137228	83418	142913	14297	19093	135564	532516

კომპანიამ საქართველოს მთავრობის განკარგულება #2014-ის საფუძველზე უსასყიდლოდ დროებით სარგებლობაში (გრანტი) მიიღო 288 995 ლარის ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სამშენებლო ინვენტარი. 2018 წლისთვის სამშენებლო ინვენტარი ამორტიზირებულია და ჩამოწერილია, ხოლო სატრანსპორტო საშუალებები მოქმედია და მათი ნარჩენი ღირებულება შეადგენს 135 564 ლარს.

3.10. მიმდინარე ვალდებულებები

2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

1. ფინანსური ვალდებულებები

2018 2017

სავაჭრო ვალდებულებები	72,738	53,415
სახელფასო ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	56,634	-
ვალდებულება თანამშრომლის წინაშე	1,161	1,320

2. არაფინანსური ვალდებულებები

მიღებული ავანსები	41,265	3,177,580
-------------------	--------	-----------

სულ

171,798 3,232,314

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადის გამო.

2.11. გრძელვადიანი ვალდებულებები

2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	2018	2017
მიღებული გრანტები	135,564	146,197

მიღებული გრანტები წარმოადგენს საქართველოს მთავრობის განკარგულება #2014-ის საფუძველზე უსასყიდლოდ დროებით სარგებლობაში მიღებულ ძირითად საშუალებებს. (იხილეთ განმარტებითი შენიშვნა პუნქტი 3.9.)

2.12. საკუთარი კაპიტალი

2017 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 10 966 373 ლარს. 2018 წლის განმავლობაში კომპანიის საწესდებო კაპიტალი, სსიპ დელტას ბრძანებების საფუძველზე, გაზრდილია სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად და მასალების შესასყიდვად გამოყოფილი თანხით 20 112 874 ლარით

კომპანიის საწესდებო კაპიტალი წლის განმავლობაში შემცირებულია სსიპ დელტას ბრძანებების საფუძველზე ამოღებული არაფინანსური აქტივებით, რომელთა ღირებულებამ შეადგინა 2 217 992 ლარი ასევე შემცირებულია ფინანსური აქტივის (თანხის) გატანით რომელმაც შეადგინა 5398 ლარი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 28 855 857 ლარს.

2.13. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარეებთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

კომპანია ასრულებს მისი მფლობელის დაკვეთებს და 2018 წლის მიღებული შემოსავლიდან 68 % მოდის პარტნიორის დაკვეთებიდან მიღებულ შემოსავალზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან მოიცავს ასევე უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურებას, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენს 129491 ლარს, ხოლო პრემია დანამატები შეადგენს 16625 ლარს.

2.14. წსაანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2018 წ. ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდში მიწოდებული მომსახურება დელტასთვის და სხვა დამკვეთებისათვის, რომელიც 2018 წ. ბოლოსათვის დაუმთავრებელ მშენებლობაში იყო ჩაშვებული განმარტებითი შენიშვნების 3.8. პუნქტში აღნიშნული შეუსრულებელი საკონტრაქტო ვალდებულებიდან 2019 წელში განახორციელა დამკვეთებისათვის 5 511 707 ლარის სამუშაოების მიწოდება;

განმარტებითი შენიშვნების 3.6. პუნქტში აღნიშნული გადახდილი ავანსებიდან 1 001 574 ლარიდან შესრულდა 825 027 ლარის მოთხოვნა